სირიის ეროვნული ინტერესები ახლო აღმოსავლეთში და მსოფლიოს სუპერსახელმწიფოები

გიორგი არაბიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე

(პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი არაბიძე

გ. არაბიძე

26.06.2017

სარჩევი

განაცხადი	i
აბსტრაქტი	iv
Abstract	vi
მადლობა	viii
აბრევიატურის ჩამონათვალი	ix
შესავალი	1
თავი 1. პირველი მსოფლიო ომის დასასრული და ევროპული პოლიტიკის დასაწყისი სირიაში	
1.1 საიკ–პიკოს ზავი და სანრემოს კონფერენცია	4
1.2 ფრანგული მანდატი სირიაში	6
1.3 ნაციონალისტური მოძრაობის გამოღვიძება სირიაში	9
1.4 ძალთა ბალანსი და ფრანგულ–ამერიკული ტანდემი სირიაში	12
თავი 2. სირია მეორე მსოფლიო ომის ფონზე	
2.1 გერმანული საფრთხე	14
2.2. ბრიტანულ–ამერიკულ–ფრანგული სამკუთხედი სირიაში	16
თავი 3. სირიული ნაციონალიზმი–საფრთხე თუ უპირატესობა	
3.1 ამერიკა–რუსეთის ბრძოლა სირიაში გავლენის მოსაპოვებლად	18
3.2 სირია პრორუსული ორიენტაციის გზაზე	22
3.3 რუსეთის შანსი სირიაში პოზიციის გასამტკიცებლად	26
თავი 4. ქეის სთადი	
4.1 ფრანგულ–ბრიტანული დაპირისპირება ჩრდილოეთ ამერიკაში	29

4.2 აშშ– რუსეთის დაპირისპირება კუბაში 30

თეორია 32

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია 35

დასკვნა 37

ბიბლიოგრაფია 39

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს სირიის სამოქალაქო ომის ისტორიულ საწყისებს, ნაციონალიზმის გამოვლინებას ოსმალთა იმპერიისგან გათავისუფლების შემდეგ. ასევე, მსოფლიოს წამყვანი ზესახელმწიფოების: შეერთებული შტატების, რუსეთის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას, სირიათან მიმართებით მეოცე საუკუნის სამოციან წლებამდე. საკვლევ საკითხთან დაკავშირებით ნაშრომში განხილულია მეცნიერთა პუბლიკაციები, აკადემიური სტატიები, ისტორიული წყაროები ინტერნეტ არქივებიდან. ასევე გამოყენებულია, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზაში განთავსებული მკვლევართა ნაშრომები.

საკვლევი თემატიკის ისტორიული ხასიათიდან გამომდინარე, ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდი. აღნიშნული მეთოდის საშუალებით ყურადღება გამახვილებულია დეტალებზე. წარსულში განვითარებულ მოვლენებზე სიღრმისეულად დაკვირვებამ დადებით შედეგი გამოიღო და მოვლენების სწორად აღქმა გაადვილა. ასევე, Process Tracing-ის მეშვეობით განხილულია, უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების ჯაჭვი, რომლებმაც დიდწილად განსაზღვრეს სირიის პოლიტიკური მომავალი.

საკვლევი საკითხის უკეთ გასაგებად ნაშრომში გამოყენებულია Case Study-ის მეთოდი. თემაში განხილულია ბრიტანეთისა და საფრანგეთის დაპირისპირება ამერიკული კოლონიებისათვის 1688–1713 წლებში. ასევე, რუსეთისა და შეერთებული შტატების დაპირისპირება კუბაში. აღნიშნული კვლევის მეთოდისა და ნაშრომში მოყვანილი მაგალითების საშუალებით, გავლებულია პარალელი ზესახელმწიფოების ქცევებს შორის.

გარდა კვლევის მეთოდებისა, მოცემული სახელმწიფოების ქცევა ახსნილია ძალთა ბალანსისა და რეალიზმის თეორიებით. შედეგად, ნაშრომში აღწერილი პროცესები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს და ქმნის ცოდნას სირიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ ზესახელმწიფოებთან მიმართებით. კვლევის

მეთოდებისა და თეორიების დახმარებით, პასუხი გაცემულია კითხვაზე, სირ იის სამოქალაქო ომის ისტორიული საწყისებისა და წამყვან სახელმწიფოთა ინტერესებთან დაკავშირებით. ამ ხერხების გამოყენებით ნათელი გახდა, რომ სირია თავისუფლების მოპოვების შემდეგ, მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობისა და მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოებისგან დიდი ინტერესის გამო, დასავლური და საბჭოური იდეოლოგიების საბრძოლო არენად გადაიქცა.

სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომი, მისი ხანგრძლოვობიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა. შესაბამისად, ქვეყნაში განვითარებული პოლიტიკური პროცესებისა და ისტორიული მასალების ანალიზი ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესების შესახებ სინამდვილის გასაგებად.

საიდენტიფიკაციო სიტყვები: სირია; ნაციონალიზმი; ზესახელმწიფოების ინტერესები.

Abstract

The present thesis investigates, beginnings of Syrian civil war and appearence of nationalism after becoming free from Ottoman Empire rule. Also investigates the foreign policy of world's leading superstates, regarding Syria, until sixties of twenteenth century.

Regarding to research topic there are examined numerous scientific publications, academic articles. Besides this, it's used researcher's workings, stated in Ilia Chavchavadze State University database.

Resulting from the historical character of examining subject, in the article it is utilized, qualitative analysis method. With the indicated method, the whole attention is focused on details. With the method of data mining, there was sufficient fruitful outcome and it made easier to evenly perceive surrounding occurance.

What refers to process tracing method, using it is discussed main chain of historical events, whese mainly identified future policy of Syria.

For better understanding research topic, it was preferred to use Case Study method. In the article, there is a discussion, about French-british rivalry for American colonies in 1688-1713 years. Also clash of USA and USSR in Cuba. With the help of above mentioned research method and with examples noted in this article, it's drawn a parallel among behaviour of superpowers.

Apart from a research method, noted state's behaviour is analysed with "balance of power" and "realism" theories. Consecuently, in this article, there is a logic connection between stated processes and also it creates acknowledgement about Syria's domestic and foreign policy, in connection with superpowers.

With the help of noted research methods and given theories, there is an answer about created question regarding historical beginnings of Syria's civil war and also about the great intereset of leading superpowers. Using this technique, it was apparent that, after gaining the independence, Syria become main target of great interest, of worlds leading superpowers, because of important strategical location. It become the battle arena of European and Soviet Union ideologies.

Syria's civil war is the world's most important political event, because of it duration and scale. Consequently, it's very important to analyse political processes and historical events, for better understanding truth, regarding following processes.

Key Words: Syria; Nationalism; Superpowers Interests.

მადლობა

აღნიშნული ნაშრომის მომზადება ფრიად რთული იქნებოდა იმ ადამიანების მხარში დგომის გარეშე, ვინ თემის მომზადების პროცესში უამრავი საინტერესო და გამოსადეგი რჩევა მომცა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი თემის ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი სანიკიძეს, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა თემის მომზადების საკითხში. მისი უდიდესი გამოცდილებამ და კომპეტენტურობამ აღნიშნულ სფეროში ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია კვლევის თითოეულ საფეხურზე.